ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1063937

ნომერი: AR1187091

თარიღი : 25.12.2013

გაცემის თარიღი : 08.01.2014

გაცნობის თარიღი : 10.01.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თიანეთი , N 95 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახათაძე პ/ნ 01025005347
- დიდი დიღომი, მ/რ4 კორ.12, ბ.50

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 25.12.2013 წ თქვენი განცხადება AR1187091, რომლითაც ითხოვთ ნებართვას შენობამდე მანქანის მისასვლელი გზის გასაკეთებლად, წითელ ხაზებში მოქცეული მანქანის ღია სადგომისთვის. პასუხად გაცნობებთ, რომ მოთხოვნა დაყენებულია არასწორად, რადგან ქალაქგეგმარებითი დასკვნის ფარგლებში არ გაიცემა რაიმეს მოწყობის/მშენებლობის ნებართვა. ამასთან, თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასაკმარისია საკითხზე (მისასვლელი გზის მოწყობაზე) სამსჯელოდ და სათანადო დასკვნის გასაცემად. გამომდინარე აქედან, სამსახური ამთავითვე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წინააღმდეგობრივია - ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით, (რომელზეც მითითებული უნდა იყოს პასუხისმგებელი სპეციალისტი), ასევე სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციითა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მიწის ნაკვეთზე არ ფიქსირდება ესკიზში ნაჩვენები შენობა-ნაგებობა, გამომდინარე აქედან გაუგებარია შენობამდე მისასვლელი გზის მოწყობის საჭიროება.

დამატებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩარგლის ქუჩა არის საუბნო მნიშვნელობის ქუჩა, საკმაოდ ინტენსიური მოძრაობითა და შეზღუდული გამტარუნარიანობით. მასთან მიწის ნაკვეთის სამანქანო გზით დაკავშირება კი, საჭიროებს სათანადო დასაბუთებას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნორმატიული მოთხოვნების დაცულობაზე, რაც ნაჩვენები უნდა იყოს სათანადო სატრანსპორტო მოძრაობის სქემაზე, ყველა შესაბამისი მონაცემის (მოძრაობის ზოლები, მიმართულებები, ინტენსივობა; ჩართვის და ტროტუარის კვეთის ზუსტი ადგილი, ზომები და ა.შ.) ასახვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ხოლო თუ თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება სრულყოფილი დოკუმენტაცია, არქიტექტურის სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა ხელახლა განიხილოს აღნიშნული საკითხი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.